უნივერსიტეტი კრიზისში: ადმინისტრაციული პერსონალის პერსპექტივა

ნინო ბიძინაშვილი, ვახტანგ ჯიქია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (უმაღლესი განათლების მიმართულება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთი ცოტნიაშვილი - განათლების პოლიტიკის და შეფასების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2025 წ.

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ბიძინაშვილი

ვახტანგ ჯიქია

25.06.2025

აბსტრაქტი

ნაშრომი მიზნად ისახავს უნივერსიტეტის იდეისა და როლის გააზრებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და განათლების სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის პერსპექტივიდან იმ სოციალური და პოლიტიკური კონტექსტის ფონზე, რომელიც საქართველოში ბოლო პერიოდში განსაკუთრებით კრიზისული გახდა. კვლევა ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ადმინისტრაცია უნივერსიტეტს არა მხოლოდ საგანმანათლებლო და კვლევით, არამედ საზოგადოებრივი აქტორის როლში.

კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ უნივერსიტეტის ფუნქციონირებასა და კრიზისულ გარემოში მისი რეაგირების უნარზე, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად, უდიდეს როლს ასრულებენ ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები, მაგრამ ამ ჯგუფის ხედვები, ღირებულებები და მოლოდინები რჩება ყურადღების გარეშე და შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი. სწორედ ამ ნაკლებობის აღმოფხვრას ემსახურება მოცემული ნაშრომი. კვლევის მიგნებები განათლების სკოლის შიგნიდან დანახვის საშუალებას იძლევა იმ ადამიანების თვალით, ვინც ხშირ შემთხვევაში, ნაკლებად ჩანან ფართო აუდიტორიის წინაშე, მაგრამ გადამწყვეტ როლს ასრულებენ ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

დიაგნოსტიკური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლებსა და სხვა აქტორებს შორის სუსტია კომუნიკაცია, რაც განაპირობებს როლების ბუნდოვანებას, ორგანიზაციულ დისტანცირებას და მიმდინარე პროცესებში არასათანადო ჩართულობას. ინტერვენცია მოიცავდა ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუებისა და კონფერენციის ჩატარებას და მიზნად ისახავდა როგორც ადმინისტრაციის აღქმებისა და შეხედულებების გაზიარებას, ასევე მათთვის სხვა აქტორთა შეხედულებების გაცნობას.

ინტერვენციის შედეგები აჩვენებს უნივერსიტეტის იდეის ღირებულებით როლს, თუმცა გამოიკვეთა, მისი აღსრულების სირთულე, საერთო აღქმების არ არსებობა და სუსტი კომუნიკაცია.

კვლევა ხაზგასმით აჩვენებს, რომ ადმინისტრაციასა და სხვა აქტორებს შორის კომუნიკაციის დეფიციტი და სუსტი კოორდინაცია აფერხებს საზრისის ფორმირებას და შესაბამისად, განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს ის ინტერვენციები, რომლებიც ხელს უწყობენ კომუნიკაციის გაძლიერებას აქტორებს შორის. აღნიშნული კვლევა აჩენს იმის მოლოდინს, რომ მსგავსი ინტერვენციები, ჩართულობის გაზრდა და ამ თემების წინ წამოწევა ხელს შეუწყობს დიალოგის გაძლიერებას ადმინისტრაციასა და სხვა აქტორებს შორის და ამასთან ერთად, ამ ტრანსფორმაციის პროცესში, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის დემოკრატიული ღირებულებების შენარჩუნებასა და გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტის იდეა, უნივერსიტეტი როგორც საზოგადოებრივი აქტორი, ადმინისტრაციული პერსონალი, საზრისის ფორმირება, აქტორ-ქსელების თეორია, კრიზისი, კომუნიკაცია.

Abstract

This paper aims to explore the idea and role of the university from the perspective of the administrative staff of Ilia State University and its School of Education, against the backdrop of the social and political context that has become particularly critical in Georgia in recent years. The research focuses on how the administration perceives the university not only as an educational and research institution but also as a public actor.

The relevance of the study lies in the fact that administrative personnel, alongside academic staff and students, play a vital role in the functioning of the university and its capacity to respond to crises. However, the views, values, and expectations of this group have remained largely overlooked and relatively understudied. This paper seeks to address that gap. The findings offer an internal perspective on the School of Education—through the eyes of individuals who often remain invisible to the broader public yet play a decisive role in organizational decision-making processes.

The results of the diagnostic phase revealed weak communication between administrative staff and other actors, leading to role ambiguity, organizational distancing, and insufficient engagement in ongoing processes. The intervention phase involved conducting semi-structured interviews and a conference, aimed at both sharing administrative perspectives and exposing the administration to the views of other stakeholders.

The outcomes of the intervention underscore the value-driven role of the university's idea while also highlighting the challenges of enacting these values, the lack of shared understanding, and weak communication. The study emphasizes that a deficit in communication and poor coordination between the administration and other actors hinders collective sensemaking. Accordingly, interventions that strengthen inter-actor communication acquire particular significance. This research suggests that such interventions—fostering greater involvement and bringing these themes to the forefront—can enhance dialogue between administrative staff and

other actors, while also supporting the preservation and strengthening of the university's democratic values throughout this process of transformation.

Keywords: idea of the university, university as a public actor, administrative staff, sensemaking, actor-network theory, crisis, communication.